საქართველოს
დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო

DEPOSIT INSURANCE AGENCY
OF GEORGIA

# 2021 წლის პირველი კვარტლის ანგარიში

ივნისი, 2021 წელი

# სარჩევი

მიმოხილვა..... 3
კომერციული ბანკების ანგარიშგება და რეგულარული სადაზღვევო შენატანები..... 3
პორტფელის მართვა..... 7
საკანონმდებლო ცვლილებები..... 8
სააგენტოს წლიური ანგარიში..... 9

# მიმოხილვა

2021 წლის პირველ კვარტალში საქართველოს პარლამენტმა დაიწყო „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის საპარლამენტო განხილვა. ცვლილებათა პაკეტი, რიგ ტექნიკურ საკითხებთან ერთად, სისტემაში იურიდიული პირების ჩართვასაც გულისხმობს, რაც, საერთო ჯამში, სისტემის ეფექტიანობის გაზრდას შეუწყობს ხელს.

გრძელდება კომერციული ბანკებისგან ყოველთვიური ანგარიშგებით წარმოდგენილი მონაცემების სტატისტიკური დამუშავება და ანალიზი, ასევე, საინვესტიციო პოლიტიკით განსაზღვრული შესაბამისი აქტივობები. აღსანიშნავია, რომ 2021 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა რისკზე დაფუძნებული რეგულარული სადაზღვევო შენატანის გამოთვლის წესი, რაც შესაბამისად აისახა პირველი კვარტლის სტატისტიკაზე.

## კომერციული ბანკების ანგარიშგება და რეგულარული სადაზღვევო შენატანები

სააგენტოში გრძელდება კომერციული ბანკების მიერ წარმოდგენილი ყოველთვიური ანგარიშგების ანალიტიკური დამუშავება.

2021 წლის იანვრის აგრეგირებული მონაცემებით, დეპოზიტების საერთო მოცულობამ 35 564 174 393 ლარი შეადგინა, საიდანაც ფიზიკური პირების დეპოზიტების მთლიანი მოცულობა 18 716 781 831 ლარი, ხოლო მასში დაზღვეული დეპოზიტების ნაწილი 3 918 156 479 ლარი იყო. ამავე თვის შედეგებით, ბანკების მიერ გადახდილი თანხის სრულმა მოცულობამ 2 451 824 ლარი შეადგინა.

რაც შეეხება 2021 წლის თებერვლის შედეგებს, დეპოზიტების საერთო მოცულობამ 36 759 294 167 ლარი შეადგინა, საიდანაც ფიზიკური პირების დეპოზიტების მთლიანი მოცულობა 18 895 820 181 ლარი, ხოლო მასში დაზღვეული დეპოზიტები - 3 988 538 894 ლარი იყო. რეგულარული შენატანის მთლიანი მოცულობა 2 422 599 ლარით განისაზღვრა.

2021 წლის მარტის მდგომარეობით დეპოზიტების საერთო მოცულობამ 37 026 095 275 ლარი შეადგინა, საიდანაც ფიზიკური პირების დეპოზიტების მთლიანი მოცულობა 19

405 623 753 ლარი, ხოლო მასში დაზღვეული დეპოზიტები - 4 030 143 378 ლარი იყო. რეგულარული შენატანის მთლიანი მოცულობა 2 498 066 ლარით განისაზღვრა.

2021 წლის იანვრიდან დეპოზიტების მთლიანი მოცულობა (ფიზიკური და იურიდიული პირები) საშუალოდ თვიურად 1.50%-ით იზრდებოდა. მაქსიმალური ზრდა 2021 წლის თებერვალში დაფიქსირდა, როდესაც დეპოზიტების მთლიანმა მოცულობამ 3.36%-ით მოიმატა. რაც შეეხება ფიზიკური პირების დეპოზიტებს, მათი მოცულობა საშუალოდ 1.63%-ით გაიზარდა. ფიზიკური პირების დეპოზიტების და დაზღვეული დეპოზიტების მაქსიმალური ზრდა შესაბამისად 2021 წლის მარტის და თებერვლის თვეში დაფიქსირდა. აღნიშნულ პერიოდში ფიზიკური პირების დეპოზიტები 2.70%-ით, ხოლო დაზღვეული დეპოზიტები 1.80%-ით გაიზარდა. #1 ცხრილში მოცემულია დეტალური ინფორმაცია აღნიშნულ მონაცემებთან დაკავშირებით.

*ცხრილი 1. დეპოზიტების მთლიანი მოცულობა, ფიზიკური პირების დეპოზიტები, დაზღვეული დეპოზიტები, ცვლილება, %, მლრდ ლარი*

| | დეკ.20 | იან.21 | თებ.21 | მარ.21 | საშ |
|---|---|---|---|---|---|
| **დეპოზიტების მთლიანი მოცულობა (მლრდ ლარი)** | 35,42 | 35,56 | 36,76 | 37,03 | |
| თვიური ცვლილება, % | | 0,41 | 3,36 | 0,73 | 1,50 |
| **ფიზიკური პირების დეპოზიტები** | 18,49 | 18,72 | 18,90 | 19,41 | |
| თვიური ცვლილება, % | | 1,22 | 0,96 | 2,70 | 1,63 |
| **დაზღვეული დეპოზიტები** | 4,04 | 3,92 | 3,99 | 4,03 | |
| თვიური ცვლილება, % | | -3,06 | 1,80 | 1,04 | -0,07 |

2021 წლის პირველი და 2020 წლის მეოთხე კვარტლის მონაცემების შედარებიდან იკვეთება, რომ მიმდინარე წლის პირველი კვარტლის ბოლოს, 2020 წლის მეოთხე კვარტალთან შედარებით, დეპოზიტების მთლიანი მოცულობა და ფიზიკური პირების დეპოზიტების მოცულობა შესაბამისად, 4.54% და 4.95%-ით არის გაზრდილი, ხოლო დაზღვეული დეპოზიტების მოცულობა - 0.29%-ით შემცირდა (ცხრილი #2).

*ცხრილი 2. დეპოზიტების მთლიანი მოცულობა, ფიზიკური პირების დეპოზიტები, დაზღვეული დეპოზიტები, ცვლილება, %,მლრდ ლარი*

| | დეკ.20 | მარ.21 |
|---|---|---|
| **დეპოზიტების მთლიანი მოცულობა (მლრდ ლარი)** | 35,42 | 37,03 |
| კვარტალური ცვლილება, % | - | 4,54 |
| **ფიზიკური პირის დეპოზიტები** | 18,49 | 19,41 |
| კვარტალური ცვლილება, % | - | 4,95 |
| **დაზღვეული დეპოზიტები** | 4,04 | 4,03 |
| კვარტალური ცვლილება, % | - | -0,29 |

რაც შეეხება წლიურ ზრდას, 2021 წლის მარტის მონაცემების მიხედვით, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით დეპოზიტების მთლიანი მოცულობა 24,49%-ით, ფიზიკური პირების დეპოზიტები 19.29%-ით, ხოლო დაზღვეული დეპოზიტები - 100.39%-ით გაიზარდა (ცხრილი #3). დაზღვეული დეპოზიტების ოდენობის აღნიშნული მკვეთრი ზრდა, 2020 წლის 1 ივლისიდან სადაზღვევო ზღვრის 5,000 ლარიდან 15,000 ლარამდე ზრდას უკავშირდება.

*ცხრილი 3. დეპოზიტების მთლიანი მოცულობა, ფიზიკური პირების დეპოზიტები, დაზღვეული დეპოზიტები, ცვლილება, %,მლრდ ლარი*

| | მარ.20 | მარ.21 |
|---|---|---|
| **დეპოზიტების მთლიანი მოცულობა (მლრდ ლარი)** | 29,74 | 37,03 |
| კვარტალური ცვლილება, % | - | 24,49 |
| **ფიზიკური პირის დეპოზიტები** | 16,27 | 19,41 |
| კვარტალური ცვლილება, % | - | 19,29 |
| **დაზღვეული დეპოზიტები** | 2,01 | 4,03 |
| კვარტალური ცვლილება, % | - | 100,39 |

ფიზიკური პირების დეპოზიტები განთავსებული ეროვნულ ვალუტაში 2021 წლის 31 მარტის მდგომარეობით წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 21,2%-ით არის გაზრდილი, აშშ დოლარში 18,51%-ით (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე 14,1%-ით), ხოლო ევროში 20.1%-ით (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე 9,1%-ით). #4 ცხრილში მოცემულია დეტალური ინფორმაცია აღნიშნულ მონაცემებთან დაკავშირებით.

*ცხრილი #4. ფიზიკური პირების დეპოზიტები ლარში, აშშ დოლარში და ევროში, ცვლილება, %, მლრდ ლარი*

| | მარ.20 | მარ.21 | მარ.21 * |
|---|---|---|---|
| **ფიზიკური პირის დეპოზიტები, ლარი** | 3,75 | 4,54 | 4,54 |
| ცვლილება, % | | 21,2 | 21,2 |
| **ფიზიკური პირის დეპოზიტები, აშშ დოლარი** | 10,96 | 12,99 | 12,50 |
| ცვლილება, % | | 18,51 | 14,1 |
| **ფიზიკური პირის დეპოზიტები, ევრო** | 1,56 | 1,88 | 1,70 |
| ცვლილება, % | | 20,1 | 9,1 |

* გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე

2021 წლის იანვარი-მარტის თვეებში რეგულარული სადაზღვევო შენატანების მაქსიმალური ზრდა (3.12%) იანვარში დაფიქსირდა და რეგულარული სადაზღვევო შენატანის მთლიანმა მოცულობამ 2 498 067 ლარი შეადგინა (ცხრილი #5).

*ცხრილი 5. რეგულარული სადაზღვევო შენატანი, ცვლილება, %,მლნ ლარი*

| | დეკ.20 | იან.21 | თებ.21 | მარ.21 | საშ |
|---|---|---|---|---|---|
| **რეგულარული სადაზღვევო შენატანი (მლნ ლარი)** | 2,50 | 2,45 | 2,42 | 2,50 | |
| თვიური ცვლილება, % | | -1,99 | -1,19 | 3,12 | -0,02 |

2021 წლის პირველ კვარტალში განხორციელებული სადაზღვევო შენატანების ჯამური ოდენობა წინა წლის მეოთხე კვარტლის შესაბამის მაჩვენებელს 1.47%-ით (ცხრილი #6), ხოლო წინა წლის შესაბამისი კვარტლის მაჩვენებელს 59.46%-ით აღემატება (ცხრილი #7). რეგულარული სადაზღვევო შენატანის მკვეთრი ზრდა 2021 წლის პირველ კვარტალში, წინა წლის შესაბამის კვარტალთან შედარებით 2020 წლის 1 ივლისიდან სადაზღვევო ზღვრის 5,000 ლარიდან 15,000 ლარამდე ზრდას უკავშირდება.

*ცხრილი 6. რეგულარული სადაზღვევო შენატანი, ცვლილება, %,მლნ ლარი*

| | დეკ.20 | მარ.21 |
|---|---|---|
| **რეგულარული სადაზღვევო შენატანი (მლნ ლარი)** | 7,27 | 7,37 |
| კვარტალური ცვლილება, % | - | 1,47 |

*ცხრილი 7. რეგულარული სადაზღვევო შენატანი, ცვლილება, %,მლნ ლარი*

| | მარ.20 | მარ.21 |
|---|---|---|
| **რეგულარული სადაზღვევო შენატანი (მლნ ლარი)** | 4,62 | 7,37 |
| კვარტალური ცვლილება, % | - | 59,46 |

2021 წლის მარტის მონაცემების მიხედვით, სრულად დაზღვეულია დეპოზიტორი ფიზიკური პირების 97% და ფიზიკური პირების მთლიანი დეპოზიტების 20,77%. დაზღვეული დეპოზიტების 53% დაზღვეულია ეროვნულ ვალუტაში, ხოლო 47% - უცხოურ ვალუტაში.

## პორტფელის მართვა

2021 წლის პირველ კვარტალში კომერციული ბანკების მიერ დეპოზიტების დაზღვევის ფონდში შეტანილი თანხების მთლიანმა მოცულობამ სულ 7 372 491 ლარი შეადგინა. დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს საინვესტიციო პოლიტიკისა და 2021 წლის საინვესტიციო გეგმის შესაბამისად, სააგენტომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ფასიან ქაღალდებში ინვესტიცია განახორციელა.

2021 წლის 26 იანვარს ჩატარებულ აუქციონზე 5 წლის ვადიანობის მქონე სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში განხორციელდა 2 006 075,61 და 2 002 022,69 ლარის ინვესტიცია. აღნიშნულ აუქციონზე თითოეული განაცხადით შეძენილი ფასიანი ქაღალდების ნომინალური ღირებულება 2 000 000 ლარს შეადგენდა, რომელთა შემოსავლიანობის განაკვეთი 8,050% და 8,100%-ია. ფასიანი ქაღალდის კუპონის განაკვეთი 8,125%-ია.

2021 წლის 2 თებერვალს სააგენტომ 2 წლის ვადიანობის მქონე სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებში განახორციელა 5 000 000 და 2 497 732,65 ლარის ინვესტიცია. აღნიშნული ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის სარგებელი შესაბამისად 8,000 და 8,050%-ია. აღნიშნულ აუქციონზე სააგენტომ 5 000 000 და 2 500 000 ლარის ნომინალური ღირებულების ფასიანი ქაღალდები შეიძინა. ფასიანი ქაღალდის კუპონის განაკვეთი 8,000%-ია.

2021 წლის 2 მარტს სააგენტომ 2 წლის ვადიანობის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები შეიძინა, რომლის ნომინალური ღირებულება 2 530 000 ლარია, შემოსავლიანობის განაკვეთი 7,900%. აღნიშნული ფასიანი ქაღალდების შესაძენად 2 549 832,43 ლარის ინვესტიცია განხორციელდა. ფასიანი ქაღალდის კუპონის განაკვეთი 8,000%-ია.

2021 წლის 23 მარტს სააგენტომ 5 წლის ვადიანობის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები შეიძინა, რომლის ნომინალური ღირებულება 2 380 000 ლარია, შემოსავლიანობის განაკვეთი 8,500%. აღნიშნული ფასიანი ქაღალდების შესაძენად 2 374 634,55 ლარის ინვესტიცია განხორციელდა. ფასიანი ქაღალდის კუპონის განაკვეთი 8,125%-ია.

2021 წლის 31 მარტის მდგომარეობით დეპოზიტების დაზღვევის საინვესტიციო პორტფელის მოცულობა 65 754 831 ლარია.

## საკანონმდებლო ცვლილებების განხილვა

საქართველოს პარლამენტმა დაიწყო „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების შესახებ კანონპროექტის განხილვა. პროექტში გათვალისწინებულია, როგორც არსებითი, ისე ტექნიკური ხასიათის ცვლილებები, რომელთა საჭიროება გამოვლინდა პრაქტიკაში, კანონის ამოქმედების შემდეგ.

შინაარსობრივი ხასიათის ცვლილებებს შორის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დეპოზიტების დაზღვევის სისტემაში იურიდიული პირების ჩართვა. ამით საქართველოს დეპოზიტების დაზღვევის სისტემა კიდევ უფრო დაუახლოვდება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას და სისტემით უკვე უზრუნველყოფილი იქნება არა მხოლოდ ფიზიკური პირების, არამედ იურიდიული პირების დეპოზიტების გარანტირებული დაზღვევა და საჭიროების შემთხვევაში ანაზღაურება. ასევე, იზრდება დაზღვევის სისტემის, როგორც ფინანსური უსაფრთხოების კომპონენტის როლი და მნიშვნელობა. იურიდიული პირების დეპოზიტების გარანტირებული დაზღვევა, შექმნის უსაფრთხოების დამატებით გარანტიას, სტიმულს მცირე ბიზნესისთვის და დადებითად აისახება ქვეყნის საინვესტიციო იმიჯსა და კლიმატზე.

საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად იზრდება დეპოზიტების დაზღვევის ფონდის ეფექტიანობა, რამდენადაც სააგენტოს უჩნდება ახალი ინსტრუმენტები საინვესტიციო საქმიანობის მეტი მოქნილობისთვის. ხოლო სადისკონტო ოპერაციების შესაძლებლობის გაჩენის შედეგად, უზრუნველყოფილი იქნება ფასიანი ქაღალდების სწრაფი განაღდება სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფონდის მიერ თავისი ძირითადი ფუნქციის - დეპოზიტორების სწრაფი და ეფექტიანი ანაზღაურების პროცესის სრულყოფილად წარმართვისთვის. გარდა ამისა, დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ეძლევა შესაძლებლობა საქართველოს ეროვნულ ბანკში გახსნას ანგარიში და განათავსოს თავისუფალი სახსრები სარგებლის მიღების მიზნით. კანონპროექტით მკაფიოდ განისაზღვრება სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული ხარჯების ფონდიდან ანაზღაურების საკითხი.

რაც შეეხება ტექნიკური ხასიათის ცვლილებებს, მათი აუცილებლობა გამოვლინდა პრაქტიკაში - კანონის ამოქმედების შემდეგ. მათ შორისაა სადაზღვევო შემთხვევის და დეპოზიტის ცნებების განმარტების დახვეწა და რიგი პროცედურული საკითხების გამარტივება.

საკანონმდებლო ცვლილებში აისახა დაინტერესებულ მხარეთა მიერ (საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო კომიტეტი) წარმოდგენილი შენიშვნები და მოსაზრებები.

## სააგენტოს წლიური ანგარიში

დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, სსიპ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო ყოველწლიურად შეიმუშავებს საქმიანობის ამსახველ წლიურ ანგარიშს.

კანონის აღნიშნული მოთხოვნის გათვალისწინებით, სააგენტომ 2021 წლის პირველ კვარტალში შეიმუშავა 2020 წლის წლიური ანგარიში. ანგარიშში აისახა გასული წლის სტატისტიკა, დეპოზიტებისა და სადაზღვევო ფონდის ცვლილებების ტენდენციები და საინვესტიციო პოლიტიკა, ასევე, სხვა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა, მათ შორის, გადაწყვეტილება სადაზღვევო ზღვრის 5 000 ლარიდან 15 000 ლარამდე გაზრდის თაობაზე (რომელიც ძალაში 2020 წლის 1 ივლისიდან შევიდა) და აღნიშნული სიახლის შესახებ მოსახლეობის ინფორმირების მიზნით ჩატარებული საინფორმაციო

კამპანია; რისკზე დაფუძნებული სადაზღვევო შენატანის შემოღებისთვის ჩატარებული სამუშაოები, საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის შემუშავება, მართვის საინფორმაციო სისტემის დეველოპმენტის დასრულება და პროგრამის დანერგვა და სხვა.

კანონის მოთხოვნების შესაბამისად, სააგენტომ საქმიანობის წლიური ანგარიში გამოაქვეყნა ოფიციალურ ვებ-გვერდზე; ამასთან, გაუგზავნა საქართველოს მთავრობას, საქართველოს პარლამენტსა და საქართველოს ეროვნულ ბანკს.